

გიორგი მაჭარაშვილი

ექვთიმე გაენათელის ღვაწლი

გიორგი მაჭარაშვილი

ექვთიმე გაენათელის ლვაწლი

თბილისი
2008

როგორც ცნობილია, 2005 წლის ივნისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმიდანებად შერაცხა ეკლესიისა და მამულისთვის თავდადებული მიტროპოლიტები, დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი.

ექვთიმე გაენათელის წმიდა ნაწილები ჩამოასვენეს საქართველოში. ღვაწლმოსილმა მღვდელმთავარმა გელათში ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი.

წინამდებარე პუბლიკაცია მოკლედ მოგვითხრობს ახლადკანონიზებული წმიდა მამის, ექვთიმე გაენათელი მიტროპოლიტის, ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

© გიორგი მაჭარაშვილი

სულიერი ღვაწლის დასაწყისი

ჩვენამდე მოღწეულია მაღალყოვლადუსამღვდელოესი ექვთიმეს მიერ გაცემული საეკლესიო საბუთები, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი იყო ქრისტეფორე გურიელის ძე. „შეწირულების წიგნი ეფთვიმი გენათელისა გელათისადმი“ და „შეწირულების წიგნი ეფთვიმი გენათელისა გამოჩინებულისადმი“ ასევე გვაუწყებს, რომ მისი აღმზრდელი გახლდათ კათოლიკოსი იოსებ ბაგრატიონი. სასულიერო მოღვაწეობის დასაწყისში ექვთიმე დიაკვნად მსახურობდა გამოჩინებულის წმიდა გიორგის ეკლესიაში - იქ, სადაც მისი მამა, ქრისტეფორე იქნა დაკრძალული, რადგან მის აღდგენა-გამშვენებაში მიუძღოდა დიდი წვლილი. ცნობილია ისიც, რომ ექვთიმე არქიდიაკვნად ახლდა მის აღმზრდელ იოსაებ კათალიკოზს.

მაღალყოვლადუსამღვდელოეს ექვთიმეს ურთულეს დროში მოუხდა მოღვაწეობა - ერთი მხრივ ისლამის მოძალება და ტყვეთა სყიდვა, მეორე მხრივ შინააშლილობა ქართველთა შორის და, ამავე დროს, რუსთა იმპერია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით მკვიდრდებოდა კავკასიაში. ექვთიმემ სულიერი მოძღვართ-მოძღვრის უმძიმესი ტვირთით იცხოვრა მაშინ, როდესაც საქართველომ ერთიანად დაკარგა, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკლესიური დამოუკიდებლობა. გავიხსენოთ მის მიერ განვლილი მადლმოსილი და ეკლიანი ცხოვრების გზის ზოგიერთი მონაკვეთი.

×××

„ყოფად ერთ სამწყსო“

ოდესმე დიდი და ერთიანი ყოფილა საქართველო - ეს სიტყვები ოქროს ხანის საქართველოს მხოლოდ ტკივილიანი ხსოვნა როდია. ეს სიტყვები თავის თავში იტევს დიდ ნუგეშსა და სასოებას ღმრთისადმი. სწორედ ამგვარი სასოებით გულანთებული ეახლა მეუფე ექვთიმე პატარა კახს. ეს მოხდა 1789 წელს, როცა დაისვა საკითხი ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს შეერთებისა. ერეკლე მეორეს დასავლეთ საქართველოდან საგანგებოდ წარმოგზავნილი ელჩობა ეახლა. დელეგაციის წევრთა შორის იყო ექვთიმე გაენათელიც და ჯვრით ხელში ცდილობდა ყოველი ქართველის სანუკვარი მიზნის მიღწევას - საქართველოს ერთიანობის აღდგენას.

× × ×

„მრავალ არიან ჭირნი მართალთანი“

კრწანისის ბრძოლაში მიღებული ჭრილობები არ მოეშუშებინა ჯერ საქართველოს, რომ ახალი განსაცდელი დაატყდა თავს. დაახლოებით 1797 წელს იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ. აქა-იქ ხალხი იმასაც ამბობდა, რუსის გენერალმა ტორმასოვმა გაავრცელაო ეს სასიკუდინე სნეულება.

...„და განძლიერდა ჭირი იგი საქართუ‍ველოსა შინა ვიდრე ოთხს წლამდისინა, - გვაუწყებს დავით ბატონიშვილი, - გარნა იმერეთსა შინა ყოველგან ასწყდა უმრავლესი სული, რომლის რიცხვი შეუძლებელ არს აღწერად, რომლისა გამო აღიფხვრნენ მრავალნი სოფელნი იმერეთსა შინა ძირითურთ. ჟამსა ამას გენათელმან ეფთვიმემ ესოდენი იღვაწა, რომელ ჭირსა ამას შინა მოსილი ერისა კაცის ტანისამოსით დადიოდა და უვლიდა მრავალთა სნეულთა, აზიარებდის და მარხევდის, ხოლო ხალხთა მშიერთა, რაჲცა ეპოებოდის საზრდოჲ, აძლევდის“...

× × ×

„დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა“

„რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველი ძლიერი მასიური აფეთქება საეკლესიო ნიადაგზე მოხდა დასავლეთ საქართველოში“, როგორც ამის შესახებ წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე. ეს გახლდათ იმერეთის 1819-20 წლების აჯანყება, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ექვთიმე გაენათელი იყო.

დიდი ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომლის წინაპრები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ამბოხებაში, აღნიშნავდა: „იმისთანა აჯანყება კი არ ყოფილა, რომ ხალხს

რამე ძალადობა ეხმაროს, მხოლოდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ პირდაპირ და დაუფარავად“. შემდეგ კი, როცა სხვა გზა აღარ იყო, ექვთიმე გაენათელი და დოსითეოზ ქუთათელი მიტროპოლიტები „ცხადად აკურთხევდნენ ხალხს სამშობლოსა განთავისუფლებისა ღვწად; ეკკლესიებში აკურთხებდნენ იარაღსა და მღვდელნი ურიგებდნენ სამრევლოთა“, - ვკითხულობთ პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ გაზეთ „ივერიაში“ ცხვილოელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში.

ეგზარქოსი თეოფილაქტე

აჯანყების მიზეზი ის იყო, რომ „იმერეთის სამწყსოს სურდა ჰყოლოდა დამოუკიდებელი მწყემსმთავარი, - აღნიშნავდა ილია ფერაძე, - ეს სამწყსო ექსარხოსს არ ემორჩილებოდა“. ამის გამო პირველ ეგზარქოს ვარლამს „ეპყრა მხოლოდ მცხეთა და ალავერდი“, - წერს დავით ბატონიშვილი. ხოლო ამბოხების დაწყების უშუალო მიზეზად იქცა ის ეგრეთ წოდებული საეკლესიო რეფორმა, რომელსაც ახალი ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი ატარებდა.

ეს იყო თავგანწირული ხალხის გამოსვლა. ხალხისა, რომელსაც სხვა გზა, გარდა ამბოხებისა, უბრალოდ აღარ დარჩენოდა. ეს ასე იყო, რადგან ერთიციდა იმერეთში, ბუნებრივია, არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ იარაღით

გაუმკლავდებოდნენ უზარმაზარ რუსეთს. რუსეთს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ნაპოლეონის მილიონიან არმიას მოუღო ბოლო. ამგვარად, ქართველთა მხრიდან ეს ამბოხება იყო შეგნებული, გაცნობიერებული წასვლა სიკვდილზე. ეს იყო ნამდვილი გმირული თავდადება დედა სამშობლოსა და ეკლესიისთვის.

აჯანყებაში ექვთიმე გაენათელისა და დოსითეოზ ქუთათელის გარდა სხვა სასულიერო პირებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მღვდლები თავისი სულიერი შვილების გვერდით იბრძოდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ 1820 წლის 21 მაისს სოფელ ფუტიეთში რუსის ჯარისკაცებმა მოკლეს ორი ათასი ამბოხებული. გარდაცვლილთა შორის, როგორც გენერალი პოტტო წერს, გადაცმულ მღვდლებსაც ნახულობდნენ. რუსის ჯარმა ასევე შტურმით აიღო შემოქმედი და საერთოდ, მეტად სასტიკად უსწორდებოდნენ ამბოხებულებს.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული საფრთხე, ბუნებრივია, აჯანყების სულისჩამდგმელებს, მათ შორის ექვთიმე გაენათელს მოელოდა.

დიდმარხვა იყო, 4 მარტი. აჯანყების პირველი ტალღებიც ჩამცხრალიყო და მყუდროება სუფევდა. იცოდნენ რუსთა იმპერიის სატრაპებმა, რომ მხცოვანი მიტროპოლიტების შეპყრობა ქართველობას ისევ ააჯანყებდა, მაგრამ... მაგრამ არ ცხრებოდა აღბორგებული საიდუმლო უსჯულოებისა; უღმერთობა, რომელიც ფარულად სულ უფრო და უფრო მეტად იდგამდა მეტასტაზებს ერთმორწმუნე რუსეთის სხეულში და რომელიც მოგვიანებით 1917 წლის რევოლუციის სახით გადმოინთქა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისავე წასალეკად. იმჯერად კი, როგორც ჩანს, ისევ საქართველოს ეკლესიის ჯერი იდგა.

4 მარტის ღამით საწოლში მწოლარენი შეიპყრეს ექვთიმე და დოსითეოზ მიტროპოლიტები, არქიმანდრიტი გრიგოლ ცქიტიშვილი, ბატონიშვილი დარეჯანი და სხვა მამულიშვილები. მიტროპოლიტებს „თავს ჩამოაცვეს წელამდინ ტომრები და შეუკრეს ზევიდამ ხელნი და ჰგვემეს ფრიად ქუთათელს, და თავის სახლიდამ თრევით ძირს ჩამოიტანეს“, - გვაუწყებს დავით ბატონიშვილი. შეპყრობილნი მაშინვე დიდი ცხენოსანი ყარაულის თანხლებით რუსეთის გზას გაუყენეს. ნაცემ-ნაგვემი ქუთათელი მიტროპოლიტი გზაზე გარდაიცვალა. ხოლო ექვთიმე გაენათელი, არქიმანდრიტ გრიგოლთან ერთად, ნოვგოროდში გადაასახლეს.

წმიდა დოსითეოზ ქუთათელი მიტროპოლიტი

× × ×

„აღლესა მახვილი მხილებისა“

...„არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა

საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა“, - აცხადებდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლეს მანიფესტში და თვალთმაქცურად ჰპირდებოდა ქართველობას: „არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა“.

და აჰა, ღმრთის განგებით ისე მოხდა, რომ სამწყსოწართმეული და სამშობლოწართმეული ექვთიმე გაენათელი მიტროპოლიტი წარადგინეს სწორედ ამ ალექსანდრე პირველის წინაშე. და მაშინ აღლესა მახვილი მხილებისა.

იმპერატორი ალექსანდრე პირველი

...„იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა. ჩაიყვანეს პეტერბურღში, იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ექვთიმე არ მოერიდა ემხილებინა საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისა და სამშობლოს დამცველთა წამებისათვის. მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გაგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია“, - წერს უწმიდესი ამბროსი.

×××

„საკვირველება, რომელ ჰქმენ უფალო“

ნოვგოროდიდან რუსთა იმპერიის დედაქალაქში ჩაყვანილი ექვთიმე ისედაც შინაპატიმრობაში ჰყავდათ და იქ გადასახლებულ ქართველ უფლისწულებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდნენ; ხოლო იმპერატორის მხილების შემდეგ აღარც პეტერბურგში აღარ გააჩერეს და გადაასახლეს იქ, სადაც უწინ საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი ანტონ მეორე ჰყავდათ საპატიო ტყვეობაში.

ალექსანდრე სვირელის მონასტერი

...„და წარიყვანეს შემდგომად სვირის მონასტერსა შინა, და დაასადგურეს მუნ, რომელიცა შორავს პეტერბურხს 200 ვერსით; ხოლო გარდაიცვალა მუნვე მონასტერსა შინა, ამა ზატიკში, აპრილის 21, წელსა 1822, დღესა პარასკევსა და

დაფლეს მუნვე. ესე იყო წლისა 76. ხოლო რაჟამს შეასუენეს მონასტრისა ეკლესიასა შინა წმიდა გუამი გენათელისა და იწყეს კრებულთა ანდერძის აგება, მაშინ კუბოდამ წამოჯდა ზეზედ და დასწერა ჯუარი ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა კუბოსავე და მიიძინა. დაეცათ შიში დიდი მუნ მყოფთა ყოველთავე, და აქებდეს ღმერთსა ამის წმიდისასა და დაიდუმეს ესე შიშითა რუსთათა“, - მოგვითხრობს დავით ბატონიშვილი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ექვთიმეს საკვირველი მიცვალების ამბავი ხალხში მაინც გახმაურდა - „საფლავსა მისსა დღესაც ლოცულობენ მკვიდრნი მუნებურნი, ვითარცა წმიდისასა, და სასოებით მვედრებელნი მიიღებენო კურნებასა“ - წერდა პოლიევქტოს კარბელაშვილი მას შემდეგ, რაც ექვთიმეს მიცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო იყო გასული.

×××

2005 წელს მამა კონსტანტინე გიორგაძემ რუსეთიდან ჩამოასვენა წმიდა ექვთიმეს ცხედარი.
გაენათელი მიტროპოლიტი დაუბრუნდა თავის საკათედრო ტაძარს, სადაც უსისხლო მსხვერპლს შესწირვიდა ღმრთისა მიმართ. იგი დაიკრძალა გელათის მთავარი ტაძრის საკურთხევლის წინ.

წმიდა ექვთიმეს ახალი საფლავი გელათში

ღირსო და ღმერთშემოსილო მამაო ჩვენო ექვთიმე,
ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა დოსითეოზის თანა
ევედრე ქრისტესა ღმერთსა
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის,
ამინ.